საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1164
22/02/2023

1164-21-2-202302221613

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №475 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წანაშში მდ. ხელედულას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მთლიანი ფართობი შეადგენს 43 255 $მ^2$-ს (გვ. 12). ხოლო, წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 40 643 $მ^2$-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე დაზუსტებას საჭიროებს ცხრილში (დანართი 2) მითითებული ფართობი. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს უშუალოდ საპროექტო (მარჯვენა და მარცხენა) ნაპირსამაგრის shp ფაილები;
- სკრინინგის განცხადებაში დანართის სახით წარმოდგენილია ტყეკაფის პასპორტი (დანართი 2), რომლის მიხედვითაც მოსაჭრელი ხეების რაოდენობა შეადგენს 757-ს, ხოლო ჯამური მოცულობა - 224.39 $მ^3$. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს მოსაჭრელი ხეების რაოდენობა, ამასთან, დასაზუსტებელია იმ მოსაჭრელი ხეების შესახებ ინფორმაცია, რაც არ ხვდება სახელმწიფო ტყეში და აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში (დანართი 2) წარმოდგენილი GPS კოორდინატები (X - 800475.4484, Y - 4744306.322; X -800471.6083, Y - 4744256.639) საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, გაცნობებთ, რომ GPS კოორდინატები წარმოდგენილი უნდა იქნეს UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო